საქართველო
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 861 07
24/04/2018

861-07-4-201804240941

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის - „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“-ს მართვის უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„ საქართველოს ორგანული კანონის ”ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 ივლისის N775 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვის, მისი შესრულების შესახებ საზოგადოების ინფორმირების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის/გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა შეუფერხებლად ჩართულობის, ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების განმტკიცებასა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელმისაწვდომობის მიზნით, შეიქმნას ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის - **„დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“-ს** მართვის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა.	ილია ზარდიაშვილი	ჯგუფის ხელმძღვანელი; პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი;
ბ.	მარინა მერაბიშვილი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურისა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელი;
გ.	მარინე გოგოლაძე	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი;
დ.	რევაზ ანდღულაძე	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
ე.	მაია სხირტლაძე	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სპორტული პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი;

ვ. ინგა დიაკონოვი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი;
ზ. თამილა ადვაძე	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
თ. გიორგი ბარძიმაძე	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გზებისა და ხაზოვანი ნაგებობების საკითხებში;
ი. შოთა მერაბიშვილი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - პროექტების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი;
კ. ნათია ნადიბაიძე	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი;
ლ. ლევან მიქაბერიძე	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტიო ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების საკითხებში;
მ. ივანე თათეშვილი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი.

2. წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტის თანახმად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს, პროექტის - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის - **„დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“-ს** ფარგლებში შემოსული წინადადებების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, შემდგომი ელექტრონული წარმოების უზრუნველყოფის მიზნით;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №62).

ზაზა მელიქიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია